ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/935-19

"03" 06 2019 წ.

დადგენილება №000398
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.06.2019წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე 2019 წლის 3 ივნისის №000398 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. **„ჭავჭავაძის 49"-ს** (ს/კ №404954126; დირექტორი - ალექსანდრე სამარგულიანი; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს ქ., №40, კორ. 2, ბ. 21) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №49დ-ში (ს/კ №01.14.07.008.110) (ყოფ. გამზირი ილია ჭავჭავაძე, 49ა / გამზირი ჭავჭავაძე, №49, მიმდებარედ), შ.პ.ს. „ჭავჭავაძის 49"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (IV ბლოკი) (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1589982 11.11.2014წ. (№1621392 02.12.2014წ; №1735023 17.02.2015წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შეიცვალა პილონების ზომა და ფორმა, ასევე ყველა ნიშნულზე კარ-ფანჯრების და ვიტრინების გაბარიტი. შეიცვალა ავტოფარეხების ნიშნულები, ნაცვლად -9.90, -6,90 და -3.90-ისა არის -9.00, -6.00 და -3.00. ღერძი 4-4 მიმდებარედ არსებული ლიფტი იღება -6,00 ნიშნულიდან, ხოლო -9.00 ნიშნულზე მოწყობილია აღნიშნული ლიფტის თანაორმო და დამხმარე ფართი. 0.00 ნიშნულზე შეიცვალა ვესტიბიულის და კომერციული ფართის გაბარიტები და კონფირურაცია. ვესტიბიულში შესასვლელს მონაცვლებული აქვს ადგილი ა-ბ მონაკვეთიდან გ-დ მონაკვეთში. ა-ბ მონაკვეთი შემინულია მსგავსად ზედა სართულებისა, აგრეთვე 1-2 მონაკვეთში (ბ ღერძის გასწვრივ) მოწყობილია ვიტრინე. გ-დ 3-4 მონაკვეთში კიბის ქვეშ მოეწყო სან.კვანძი. კიბის უჯრედში 5-5 ღერძზე გაუქმებული ღიობი. 5-5 ღერძის გასწვრივ მოწყობილია დროებითი კედელი. აგრეთვე ვესტიბიულში გ-გ 4-4 გ-გ 3-3 ღერძების გადაკვეთაზე მოწყობილია საინჟინრო შახტები. ა-დ მონაკვეთში შენობის წინ ტერიტორია მოპირკეთდა, მოეწყო კიბე, პანდუსი და ცხაური. +4.60 ნიშნულიდან +83,40 ნიშნულის ჩათვლით კიბის



ადგენილება განთქსდა მთავარი შესასვლის ვიზისგან
17.07.2019წ.

პროექტში არსებული შახტის ზომა შემცირებულია. 3-3 ა-ა ღერძების გადაკვეთასთან არსებული საინჟინრო შახტა მოწყობილია +4,60 ნიშნულიდან +83,40 ნიშნულის ჩათვლით. +4.60 ნიშნულიდან ყველა სართულზე სადარბაზოში და კიბის უჯრედში მოწყობილია საინჟინრო სახტები და კარადები. +76.00 ნიშნულზე ბინაში გაუქმდა ზედა სართულზე ასასვლელი კიბე (დუპლექსი). ტერასაზე ამოშენდა ქვედა სართულიდან ამომავალი საინჟინრო შახტები +79.40 ნიშნულზე ბინაში მოეწყო ზედა სართულზე ასასვლელი კიბე (დუპლექსი). +83.40 ნიშნულზე ბინაში შეიცვალა ატრიუმის გაბარიტი. სახურავზე ამოშენდა საინჟინრო შახტები, პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი და მინის მოაჯირები, აგრეთვე სამეზობლო მიჯნაზე მოწყობილია 1,80 სიმაღლის კედელი. **ფასადი 1-6 ღერძებში:** ტერასებზე 1-2 მონაკვეთში +4,60 ნიშნულიდან +79,40 ნიშნულის ჩათვლით მოწყობილია 70/180 კედელი. ფასადზე 1-1 და 6-6 ღერძებთან მოწყობილია წყალსადინარი მილები. **ფასადი ა-დ ღერძებში:** შეცვლილია კარფანჯრების გაბარიტები, ადგილმდებარეობა და დაყოფა. ტერასებზე მოწყობილია კონდენციონერების გარე აგრეგატები და გათბობის ქვაბები. შეცვლილია ფასადის შეღებვის ფერი. გაიზარდა ტერასის შუბლის სიმაღლე (ტერასის პერიმეტრზე). **ფასადი 6-1 ღერძებში:** შეცვლილია ტერასის სიგრძე 6-5 მონაკვეთსი. შეცვლილია კარ-ფანჯრების გაბარიტები, ადგილმდებარეობა და დაყოფა. 0.00 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში არსებული ღიობი შემინულია. გაუქმდა 3-2 მონაკვეთში არსებული ღიობი 0,00 ნიშნულიდან +65,80 ნიშნულის ჩათვლით. ტერასებზე მოწყობილია კონდენციონერების გარე აგრეგატები და გათბობის ქვაბები, 6-6 ღერძის გასწვრივ +4,60 ნიშნულიდან +72.60 ნიშნულის ჩათვლით მოწყობილია 60/180 კედელი. 4-2 მონაკვეთში ყველა ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრების ადგილმდებარეობა და რაოდენობა. 6-4 მონაკვეთში გაიზარდა აივნის შუბლის სიმაღლე (აივნის პერიმეტრზე). ფასადზე 4-4 ღერძებთან მოწყობილია წყალსადინარი მილი. ფასადზე 4-1 მონაკვეთში შეცვლილია მოპირკეთების დაყოფის ნახატი. **ფასადი დ-ა ღერძებში:** შეცვლილია კარფანჯრების გაბარიტები, ადგილმდებარეობა და დაყოფა. ტერასებზე მოწყობილია კონდენციონერების გარე აგრეგატები და გათბობის ქვაბები. +4,60 ნიშნულზე დ-დ ღერძზე აივნის კიდეში დ-დ ღერძზე მოწყობილია კოლონა. აივნებზე +4,60 ნიშნულიდან +72,60 ნიშნულის ჩათვლით დ-დ ღერძის გასწვრივ მოწყობილია 180სმ სიმაღლის კედელი (კუთხის ფორმის). ფასადზე ა-ა ღერძთან მოწყობილია წყალსადინარი მილი და გათბობის ქვაბების მილები. შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი.

2019 წლის 3 ივნისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, შედგა შემოწმების აქტი №000398 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01191502201-17 30.05.2019წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 15000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით. ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე (ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1621392 02.12.2014წ. ბრძანებით მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან აუმჯობესებს

პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ჭავჭავაძის 49"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №49დ-ში (ს/კ №01.14.07.008.110) (ყოფ. გამზირი ილია ჭავჭავაძე, 49ა / გამზირი ჭავჭავაძე, №49, მიმდებარედ), განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (IV ბლოკი) (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1589982 11.11.2014წ. (№1621392 02.12.2014წ; №1735023 17.02.2015წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ჭავჭავაძის 49" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი (IV ბლოკი) (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი)) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ჭავჭავაძის 49"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ჭავჭავაძის 49"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დადგენილი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამართალდარღვევის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 [illegible] დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების

KOR STANDARD BANK

საგადასახადო დავალება N 1

თარიღი: 8/20/2019 წელი

რეფერენსი

გადამხდელი: შპს ჭავჭავაძის 49, 404954126

საიდენტ. კოდი: 404954126 ანგარიში: GE55KS0000000360500230

გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"

ბანკის კოდი: TEBAGE22

მიმღები: საზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღები ბანკი: ქ.თბილისი, "სახელმწიფო საზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია: სამშენებლო სამართალდარღვევა დადგენილება #000398

თანხა

4,000.00

GEL

თანხა სიტყვებით:

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები:

ბანკში შემოსვლის თარიღი: 8/20/2019

შესრულების თარიღი: 8/21/2019

ხელმოწერა: _____

ხელმოწერები: _____

_____

ბ.ა.

KSB კორ სტანდარტ ბანკი | დაბეჭდილია ბანკ-კლიენტით PRINTED VIA BANK CLIENT KSBGGE22

გმადლობთ "კორ-სტანდარტ ბანკის" მომსახურებით სარგებლობისათვის!
www.korstandardbank.com

KOR STANDARD BANK

საგადასახადო დავალება N 1

თარიღი: 8/20/2019 წელი

რეფერენსი

გადამხდელი: შპს ჭავჭავაძის 49, 404954126

საიდენტ. კოდი: 404954126 ანგარიში: GE55KS0000000360500230

გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"

ბანკის კოდი: TEBAGE22

მიმღები: საზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღები ბანკი: ქ.თბილისი, "სახელმწიფო საზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია: სამშენებლო სამართალდარღვევა დადგენილება #000398

თანხა

4,000.00

GEL

თანხა სიტყვებით:

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები:

ბანკში შემოსვლის თარიღი: 8/20/2019

შესრულების თარიღი: 8/21/2019

ხელმოწერა: _____

ხელმოწერები: _____

ბ.ა.

KSB | დაბეჭდილია ბანკ-კლიენტით PRINTED VIA BANK CLIENT KSBGGE22

გმადლობთ "კორ-სტანდარტ ბანკის" მომსახურებით სარგებლობისათვის!